

უპირის-პირის გეოგრაფიკული
თავის-თავის ხელს
წერს



„პარაოლიმპიელების და ზოგადად შპმ პირების მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულებების გაღვივებას“, შესაბამისად, საჩივრის ავტორებმა თვითრეგულირების ორგანოს მოსთხოვეს საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლა და საჩივრის განხილვა.

2020 წლის 26 ნოემბერს, საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი, რადგან მას არ ჰქონდა საჩივრის ავტორების რეკვიზიტები და შეუძლებელი იყო საჩივრის ავტორების იდენტიფიკაცია. კომისიამ უკან დააბრუნა საჩივარი და განუსაზღვრა საჩივრის ავტორებს 5 სამუშაო დღის ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად. საჩივრის ავტორებმა წარმოადგინეს დაზუსტებული საჩივარი 2020 წლის 30 ნოემბერს, მათ თვითრეგულირების ორგანოს მომართეს განმეორებით და მოითხოვეს ტელეკომპანია „ფორმულა“-ს გადაცემაში - „პოლიტმეტრი“ მონაწილეების მიერ „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ 31-ს მუხლის და 33-ე მუხლის პირველი პუნქტის სავარაუდო დარღვევის შემთხვევის შესწავლა.

ტელეკომპანია „ფორმულას“ თვითრეგულირების ორგანომ განიხილა შემოსული საჩივარი, შეისწავლა არსებული ფაქტობრივი გარემოებები და შესაბამისი სამართლებრივი დასაბუთების საფუძველზე 2020 წლის 10 დეკემბერს მიიღო გადაწყვეტილება, კერძოდ, **არ დადგინდა „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ 31-ე მუხლის და 33-ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა**, ვინაიდან კანონმდებლობით გათვალისწინებულა ყველა შესაძლო ზომა (ფაქტის უარყოფა/ფაქტის დაგმობა) უკვე მიღებულ იყო საჩივრის ტელეკომპანიის თვითრეგულირების ორგანოში შეტანის მომენტისთვის. აგრეთვე, მიუთითა საჩივრის ავტორებს წინამდებარე გადაწყვეტილების თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში გასაჩივრების შესაძლებლობაზე.

წინამდებარე წერილს დანართი #2-ის სახით დაერთვება საჩივრის ავტორების მიერ წარმოდგენილი საჩივარი და ტელეკომპანია „ფორმულას“ თვითრეგულირების ორგანოს მიერ 2020 წლის 10 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილება #1.

თანდართული დოკუმენტაცია:

დანართი #1 - აუდიტის დასკვნა (აუდიტის დასკვნის აღნიშნული ვერსია ექვემდებარება დაზუსტებას, დაზუსტებულ და ხელმოწერილ დოკუმენტს წარმოადგენთ ქვეყანაში გამოცხადებული უქმე ღირებულების დასრულებისთანავე).

დანართი #2 - თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში შემოსული საჩივარი და თვითრეგულირების ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება - 11 ფურცლად.

ზურაბ გუმბარიძე

დირექტორი

შპს „ფორმულა“



შპს „ფორმულა“-ს თვითრეგულირების ორგანოს

ლიანა მიშველიას

გვანცა თედიაშვილის

გიორგი დოლიაშვილის

სალომე კვირიკაშვილის

თამარი ჩხატარაშვილის

ზურაბ შელიას

იაგო შაკაიას

საჩივარი

მოგმართავთ საჩივრით, რაღა შეისწავლოთ 2020 წლის 13 ნოემბერს (გადაცემის სადავო ნაწილის ეთერში გასვლის ზუსტი დრო: 22:18 – 22:19) ტელეკომპანია „ფორმულა“-ს გადაცემაში - „პოლიტმეტრი“ მონაწილეების მიერ „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ 31-ე მუხლის და 33-ე მუხლის პირველი პუნქტის სავარაუდო დარღვევის შემთხვევა და ასევე, ამავე კოდექსის და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით მოახდინოთ შესაბამისი რეაგირება.

ფაქტობრივი გარემოებები

მოგახსენებთ, რომ 2020 წლის 13 ნოემბერს ტელეკომპანია „ფორმულა“-ს ეთერში გავიდა გადაცემა - „პოლიტმეტრი“, რომლის წამყვანია ვახო სანაია. სტუმრის- გიორგი ჯანელიძის მიერ გაკეთდა განცხადება, სადაც მან პარაოლიმპიელები შეურაცხყოფელ კონტექსტში მოიხსენია. ასევე, აღსანიშნავია, რომ გადაცემის წამყვანიც და დანარჩენი სტუმრებიც დაეთანხმნენ პარაოლიმპიელების მიმართ შეურაცხყოფელ განცხადებას და მათგან არც კი ყოფილა მცდელობა, რომ სტუმრის მიერ წარმოთქმული ფრაზა შეესწორებინათ. გიორგი ჯანელიძის მიერ გაკეთებული განცხადება იყო მადისკრიმინირებელი, რაც ხელს უწყობს პარაოლიმპიელების და ზოგადად შშმ პირების მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულებების გაღვივებას.

გიორგი ჯანელიძის მიერ გაკეთებული განცხადება: „ეს ფორმატი, რაც მოიგონა “UEFA“-მ ჩვენთვის სასაგებლო იყო, მაგრამ დაახლოებით გავს, ოლიმპიადაზე რომ დაამატო

პარაოლიმპიელი. ამდენი ჯგუფის გამარჯვებულის დამატება იქ ევროპის ჩემპიონატში... ამ D ჯგუფში, ამ პარაოლიმპიელებში უხეშად რომ ვთქვათ...“¹.

სამართლებრივი დასაბუთება

მიგვაჩნია, რომ ტელეკომპანია „ფორმულა“-მ დაარღვია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლი, რომელის მზანს წარმოადგენს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა. მოცემულ შემთხვევაში სახეზე გვაქვს დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობების ნიშნის მიხედვით. ასევე, დარღვეულია ამავე კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება, რომელიც აკისრია ნებისმიერ დაწესებულებას. მოცემულ შემთხვევაში, ტელეკომპანია „ფორმულა“-ს არ განუხორციელებია რაიმე მოქმედება, რითაც გააქარწყლებდა სტუმრის-გიორგი ჯანელიძის მიერ გაჟღერებულ მადისკირინირებელ ფრაზას პარაოლიმპიელების მიმართ.

მიგვაჩნია, რომ ტელეკომპანია „ფორმულა“-ს მიერ დარღვეულ იქნა „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“-ის დებულებები. კერძოდ, მე-3 მუხლის თანახმად, მაუწყებელი ვალდებულია დაიცვას სამაუწყებლო პრინციპები. კერძოდ, „მიუკერძოებელობა და ზუსტი ინფორმაციის უზრუნველყოფა, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, ჟურნალისტთა პროფესიული თავისუფლება, სარედაქციო დამოუკიდებლობა და საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულება, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა“². ასევე, „სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ინტერესების გათვალისწინება განურჩევლად მათი პოლიტიკური, კულტურული, ეთნიკური, რელიგიური, რეგიონული, ენობრივი, ასაკობრივი თუ გენდერული კუთვნილებისა“³.

საქართველოს მაუწყებელთა ქცევის კოდექსის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს თანაბარი პასუხისმგებლობით მოეკიდოს პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვასა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებას, რაც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ზნეობისა და ადამიანური ღირებულებების დასაცავად, საზოგადოებრივი თანხმობისა და ტოლერანტობის განსამტკიცებლად.

„მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“-ის 31-ე მუხლის თანახმად, მაუწყებელმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი მასალის გამოქვეყნებისგან, რომელიც გააღვივებს სიძულვილს ან არატოლერანტობას რასის, ენის, სქესის, რელიგიური კუთვნილების, პოლიტიკური შეხედულებების, ეთნიკური, გეოგრაფიული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე. გარდა ამისა, ამავე კოდექსის 33-ე მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების მიხედვით, მაუწყებელს აქვს ვალდებულება თავი აარიდოს ეთნიკურ ან რელიგიურ კუთვნილებასა და უარყოფით მოვლენებს შორის დაუსაბუთებელი პარალელების გავლენას, მათ შორის ცალკეული პიროვნებების საქმიანობის ასოცირებას მთელ ჯგუფთან. ასევე, მაუწყებელმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უნდა აღწეროს არაშეურაცხყოფელი ტერმინოლოგიით.

¹ <https://www.myvideo.ge/tv/formula/2020-11-13/22:18:25>

² „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“, მუხლი 3, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ა“

³ „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“, მუხლი 3, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ბ“

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვას, ფიზიკურ და მორალურ კეთილდღეობას და თანხმობის მიღებას. თუმცა, აღნიშნული ვალდებულების მიუხედავად, ტელეკომპანია „ფორმულა“-ს ეთერში სტუმრის მიერ გაკეთდა განცხადება, რომელითაც მოხდა პარალელის გავლება ქართულ ფეხბურთის წარუმატებლობასა და პარაოლიმპიელების ოლოპიადაში მონაწილეობას შორის, სტუმრის მიერ გამოთქმული მოსაზრება იყო უარყოფით კონტექსტში ნათქვამი, რითაც შერაცხყო პარაოლიმპიელები.

გარდა ამისა, მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის თანახმად, მაუწყებლებს აქვთ ვალდებულება ახალი ამბების პროგრამებში უზრუნველყონ ფაქტებთან და მოვლენებთან დაკავშირებული ყველა საგულისხმო განსხვავებული აზრის სათანადოდ წარმოჩენა რომელიმე ჯგუფისა თუ აზრის დისკრიმინაციის გარეშე, რაც ვერ იქნა უზრუნველყოფილი „პოლიტმეტრის“-ს გადაცემაში, რადგან გიორგი ჯანელიძის მიერ გაკეთებული შედარება, აკნინებდა და შეურაცხყოფას აყენებდა როგორც პარასპორტს, ასევე პარაოლიმპიადას და პარაოლიმპიელებს.

მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, დაინტერესებულ პირს საწყისი განცხადების გაკეთებიდან, მათ შორის, ფაქტის მოყვანიდან 10 დღის ვადაში უფლება აქვს მოსთხოვოს შესაბამის მაუწყებელს საწყის განცხადებაში მოცემული მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორება ან უარყოფა საწყისი განცხადების ხანგრძლივობით და დაახლოებით იმ დროს, როდესაც გაკეთდა საწყისი განცხადება. გარდა ამისა, ამავე კოდექსის მუხუთე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაინტერესებული მხარე არის ნებისმიერი პირი, რომელსაც ეხება ან რომელიც ნახსენებია პროგრამაში ან მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს გადაწყვეტილებაში.

საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაცია დაცულია ეროვნული კანონმდებლობით. გარდა ამისა, ქვეყანაში მოქმედებს საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“, რეგულირების სფეროს წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დისკრიმინაციის გარეშე და სხვებთან თანაბარ პირობებში დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ცხოვრების ყველა სფეროში მათი სრულყოფილი მონაწილეობის ხელმისაწვდომობის ძირითად პრინციპებსა და მექანიზმებს, რათა მიღწეულ იქნეს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის შესაძლებლობების განვითარება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულყოფილი მონაწილეობა, საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტიგმატიზაციის პრევენცია და აღმოფხვრა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ექსპლუატაციისგან, ძალადობისგან, არასათანადო მოპყრობისა და დისკრიმინაციისგან დაცვა.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია შშმ პირთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო დოკუმენტია, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის გააზრებას ცვლის და მას ადამიანის უფლებებს, პიროვნების ღირსებასა და ნების ავტონომიურობის პრინციპებს აფუძნებს⁴. წინამდებარე კონვენციის მიზანია, „ხელი შეუწყოს, დაიცვას და უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა

⁴ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია“, პრემიულა

რეალიზება, მათი თანდაყოლილი პიროვნული ღირსების პატივისცემა.⁵ მიუხედავად ეროვნულ დონეზე, და არა მარტო, მოქმედი კანონმდებლობისა რელურ ცხოვრებაში შშმ პირები ბევრ წინააღმდეგობას აწყდებიან, ისინი ერთგვარად ქართული საზოგადოების მენტალობაში ქველმოქმედების ობიექტები არიან, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ. მათ უნდა ჰქონდეთ ყველა ის უფლება, რითიც საზოგადოების დანარჩენი ნაწილი სარგებლობს.

მოთხოვნის დასაბუთება

გიორგი ჯანელიძის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში, სადაც ის ბოდიშს იხდის „ფორმულა“-ს ეთერში გაკეთებული განცხადების გამო, განმარტავს, რომ პარაოლიმპიელების მოხსენიებით, შედარება გააკეთა ქართულ ფეხბურთთან. როგორც უკვე გავეცანით, გიორგი ჯანელიძის შეფასებები ქართული ფეხბურთის მიმართ, შეიცავდა დამაკნინებელ ტონს, ის არა ერთ გადაცემაში აღნიშნავდა ქართული ფეხბურთის მარცხს და მათ მოიხსენიებს, როგორც უნიჭოებს. შესაბამისად, მან პარაოლიმპიელებიც ამგვარ კონტექსტში მოიხსენია.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად შშმ პირების მიმართ დისკრიმინაციული მოპრობის ფაქტები საკმაოდ ხშირია, ისინი მუდმივად ექცევიან საზოგადოების წნეხის ქვეშ, რადგან მათი ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობები გაიგივებულია მათ გონებრივ შესაძლებლობებთან და საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულება ხელს უშლი მათ ინტეგრაციას საზოგადოებაში⁶. ხდება მათი შესაძლებლობების დაკნინება და რაც გამოიხატა კიდევ გიორგი ჯანელიძის განცხადებაში, რომელიც იყო მადისკრიმინირებული. სწორედ ამგვარი განცხადებებით, მეტად ვუწყობთ ხელს სტიგმის გაღვივებას. სწორედ, მაუწყებლობას აკისრია ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა, რეკლამა გაუწიოს დისკრიმინაციის წინააღმდეგ ქმედებებს და საზოგადოებას მიაწოდოს ჯანსაღი აზრი, რითაც ხელიეწყობა საზოგადოების აზრის ჩამოყალიბებას. ხაზი უნდა გაესვას, ინფორმაციის გავრცელების მამუტაბურობას, ვინაიდან „ფორმულა“-ს ეთერში გასული გადაცემის „პოლიტმეტრი“-ს გაშუქება მიმიდინარეობს ტელევიზიით. შესაბამისად, გონიერულია იმის აღბათობა, რომ მადისკრიმინირებელმა განცხადებამ უამრავ ადამიანში გააღრმავოს სტერეოტიპული და დისკრიმინაციული მიდგომები პარაოლიმპიელების და ზოგადად შშმ პირების მიმართ. მსოფლიო მასშტაბით, ძალიან ბევრი პროექტები და წამოწყებებია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დანარჩენ სოციუმში მეტი ინტეგრაციისა, ასეთია პარაოლიმპიური თამაშები, რომელიც ჩვეულებრივ ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება და სადაც ერთმნიშვნელოვნად ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანები იღებენ მონაწილეობას. ეს არის ჩვეულებრივი დონის შეჯიბრი, ანალოგიური სისტემით, რაც გულისხმობს იმას, რომ შშმ პირებსაც ისევე შეუძლიათ ბრძოლა გამარჯვებისთვის, როგორც ოლიმპიური თამაშებში მონაწილეებს.

აღნიშნულ ფაქტზე მსჯელობისას, მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცეს პარაოლიმპიელების და ზოგადად შშმ პირების მორალურ მდგომარეობას, რადგან აღნიშნული განცხადებებით მათ დიდი ზიანი ადგებათ. შერაცხყოფილები და იმედგაცრუებულები არიან. მოცემულ განცხადებას უკვე გამოეხმაურა ეტლით მოფარიკავე, პარაოლიმპიელი - ირმა ხეცურიანი და

⁵ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია“, მუხლი 1

⁶ <https://clck.ru/S3Lip>

განმარტავს, რომ 21-ე საუკუნეში ამგვარი დამოკიდებულება შშმ პირების მიმართ, მიუღებელია. განცხადება გაკეთდა ასევე, საქართველოს პარაოლიმპიური კომიტეტის მიერ, სადაც განმარტავენ რომ შერაცხმყოფელი და მადისკრიმინირებული განცხადება შშმ პირების მიმართ ყოვლად მიუღებელია.

მოთხოვნა

მოგეხსენებათ, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" კანონის 6.1 მუხლის თანახმად, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი. ამავე ნორმატიული აქტის 8.3 მუხლი კი ითვალისწინებს საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგიწოდებთ:

1. განიხილოთ წინამდებარე საჩივარი და შეისწავლოთ საქმის ფაქტობრივი გარემოებები;
2. საჩივარი განიხილოთ ზეპირი მოსმენით.

განმცხადებლები:

ლიანა მიშველიას

(პ/ნ 62002001618; 08/03/1996 წ.; მის: თბილისი, მარუაშვილი ქ. N50; ტელ: 588 880 451)

ღ. მიშველია

სალომე კვირიკაშვილი

(პ/ნ 09001028377; 01/01/1997 წ.; მის: თბილისი, ევდოშვილის ქ. N18; ტელ: 598 862 962)

სალომე კვირიკაშვილი

იაგო შაკაია (პ/ნ 62009007208; 31/10/1995 წ.; მის: ზუგდიდი, ცოტნე დადიანის ქ. N6; ტელ: 597 292 048)

ი. შაკაია

ზურაბ შელია (პ/ნ 51001028685; 24/06/1997 წ.; მის: თბილისი, მირიან მეფის ქ. N71ა;
ტელ: 577 348 395)



გვანცა თედიაშვილის (59001126483; 20/10/1997 წ.; მის: თბილისი, ვაჟა-ფშაველას N94;
ტელ: 598 979 850)



გიორგი დოლიაშვილი (პ/ნ 59001106841; 22/10/1997 წ.; მის: თბილისი, ბოგდან
ხმელინცკის N1; ტელ: 598 221 097)



თამარი ჩხატარაშვილი (01024051485; 20/0/1997; მის: ქ. თბილისი ბახტრიონის ქუჩა;
ტელ: 577466423)



ტელეკომპანია „ფორმულას“ თვითრეგულირების ორგანოს/კომისიის გადაწყვეტილება

#1

ქ.თბილისი

10 დეკემბერი, 2020 წელი

კომისიის შემადგენლობა:

დირექტორი - ზურაბ გუმბარიძე

საინფორმაციო სამსახურის დირექტორი - გიორგი ლაფერაშვილი

გადაცემა „დილა ფორმულაზე“ მთავარი პროდიუსერი - ლიკა კინწურაშვილი

ახალი ამბების დეპარტამენტის უფროსი-მთავარი პროდიუსერი- მაკა ფანქველაშვილი

დაინტერესებული პირები/საჩივრის ავტორები:

ლიანა მიშველია

სალომე კვირიკაშვილი

იაგო შაკია

ზურაბ შელია

გვანცა თედიაშვილი

გიორგი დოლიაშვილი

თამარი ჩხატარაშვილი

დაინტერესებული პირების საჩივარი

კომისია განმარტავს, რომ 2020 წლის 22 ნოემბერს ტელეკომპანია „ფორმულას“ თვითრეგულირების ორგანოში შემოვიდა დაინტერესებული პირებისგან საჩივარი 2020 წლის 13 ნოემბერს (გადაცემის სადავო ნაწილის ეთერში გასვლის ზუსტი დრო: 22:18 – 22:19) ტელეკომპანია „ფორმულას“ გადაცემა „პოლიტმეტრის“ მონაწილეების მიერ „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ 31-ე მუხლისა და 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საგარაუდო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით. საჩივრის მიხედვით, დაინტერესებული პირები მიუთითებენ, რომ: „სტუმრის-გიორგი ჯანელიძის მიერ გაკეთდა განცხადება, სადაც მან პარაოლიმპიელები შეურაცხყოფელ კონტექსტში მოიხსენია. ასევე, აღსანიშნავია, რომ გადაცემის წამყვანიც (ვახო სანაია) და დანარჩენი სტუმრებიც დაეთანხმნენ პარაოლიმპიელების მიმართ შეურაცხყოფელ განცხადებას და მათგან არც კი ყოფილა მცდელობა, რომ სტუმრის მიერ წარმოთქმული ფრაზა შეესწორებინათ. გიორგი ჯანელიძის მიერ გაკეთებული განცხადება იყო მადისკრიმინირებელი, რაც ხელს უწყობს პარაოლიმპიელების და ზოგადად შშმ პირების მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულებების გაღვივებას“.

გიორგი ჯანელიძის მიერ გაკეთდა შემდეგი განცხადება: „ეს ფორმატი, რაც მოიგონა “UEFA“-მ ჩვენთვის სასაგებლო იყო, მაგრამ დაახლოებით გავს, ოლიმპიადაზე რომ დაამატო პარაოლიმპიელი. ამდენი

ჯგუფის გამარჯვებულის დამატება იქ ევროპის ჩემპიონატში... ამ D ჯგუფში, ამ პარალიმპიელებში უხეზად რომ ვთქვათ...”

საჩივრის ავტორების სამართლებრივი დასაბუთება:

საჩივრის ავტორების მოსაზრებით, ტელეკომპანია „ფორმულა“-მ დაარღვია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლი, რომლის მიზანს წარმოადგენს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა. დაინტერესებული პირების აზრით, მოცემულ შემთხვევაში სახეზეა დისკრიმინაცია შემზღუდული შესაძლებლობების ნიშნის მიხედვით. ასევე, მათი მოსაზრებით, დარღვეულია ამავე კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება, რომელიც აკისრია ნებისმიერ დაწესებულებას.

საჩივრის ავტორები აღნიშნავენ, რომ მოცემულ შემთხვევაში, ტელეკომპანია „ფორმულა“-ს არ განუხორციელებია რაიმე მოქმედება, რითაც გაქარწყლებოდა სტუმრის - გიორგი ჯანელიძის მიერ „გაუდერებელი მადისკრიმინებელი ფრაზა პარალიმპიელების მიმართ“.

საჩივრის ავტორები სადავოდ ხდიან „მაუწყებელთა ქცევის კოდექსში“ არსებული დებულებების დაცვის ფაქტსაც, კერძოდ, „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ 31-ე მუხლის თანახმად, მაუწყებელმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი მასალის გამოქვეყნებისგან, რომელიც გააღვივებს სიძულვილს ან არატოლერანტობას რასის, ენის, სქესის, რელიგიური კუთვნილების, პოლიტიკური შეხედულებების, ეთნიკური, გეოგრაფიული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე. გარდა ამისა, ამავე კოდექსის 33-ე მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების მიხედვით, მაუწყებელს აქვს ვალდებულება თავი აარიდოს ეთნიკურ ან რელიგიურ კუთვნილებასა და უარყოფით მოვლენებს შორის დაუსაბუთებელი პარალელების გავლენას, მათ შორის ცალკეული პიროვნებების საქმიანობის ასოცირებას მთელ ჯგუფთან.

დაინტერესებული პირების მტკიცებით, აღნიშნული ვალდებულების მიუხედავად, ტელეკომპანია „ფორმულა“-ს ეთერში სტუმრის მიერ გაკეთდა განცხადება, რომლითაც მოხდა პარალელის გავლება ქართულ ფეხბურთის წარმატებლობასა და პარალიმპიელების ოლოპიადში მონაწილეობას შორის, სტუმრის მიერ გამოთქმული მოსაზრება იყო უარყოფით კონტექსტში ნათქვამი, რითაც „სტუმარმა შეურაცხყო პარალიმპიელები, ხოლო გადაცემის წამყვანმა ხელი არ შეუშალა მას აღნიშნული ქმედების განხორციელებაში“.

საჩივრის ავტორების მოთხოვნა:

- (1) განხილულ იქნეს წინამდებარე საჩივარი და მოხდეს საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლა;
- (2) საჩივარი განხილულ იქნეს ზეპირი მოსმენით.

საჩივრის დასაშვებობა

ტელეკომპანია „ფორმულა“ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივარს განიხილავს შპს „ფორმულას“ დირექტორის 2019 წლის 27 სექტემბრის ბრძანების #Formula00-002 (27/09) საფუძველზე დამტკიცებული დებულების შესაბამისად. წინამდებარე დებულება განთავსებულია შპს „ფორმულას“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე და იგი საჯაროდ ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. აღნიშნული დებულება განსაზღვრავს საჩივრის დასაშვებობის ფორმალურ კრიტერიუმებს, კერძოდ, დებულების მეოთხე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, დაინტერესებულმა პირმა საჩივარი უნდა წარადგინოს წერილობითი ფორმით და იგი უნდა შეიცავდეს შესაბამის რეკვიზიტებს. 2020 წლის 22 ნოემბერს მიღებული საჩივარი არ შეიცავდა საჩივრის ავტორების რეკვიზიტებს და შესაბამისად, არ აკმაყოფილებდა საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებს. დებულების მეხუთე მუხლის

პირველი პუნქტის მეორე წინადადება აღგენს დასაშვებობის ეტაპზე დადგენილი ხარვეზის გამოსწორების მექანიზმს, კერძოდ, თუ საჩივარი წარმოდგენილია ამ დებულების დარღვევით, კომისია უკან უბრუნებს საჩივარს ავტორს და განუსაზღვრავს არანაკლებ 5 სამუშაო დღეს ხარვეზის გამოსასწორებლად, ამის საფუძველზე დაინტერესებულ პირებს 2020 წლის 26 ნოემბერს განესაზღვრათ ვადა არსებული ხარვეზის გამოსასწორებლად.

საჩივრის ავტორებმა საჩივარი შესაბამისი ხარვეზის აღმოფხვრის შემდეგ კვლავ წარმოდგინეს ტელეკომპანია „ფორმულაში“ 2020 წლის 30 ნოემბერს, საიდანაც დაიწყო მისი განხილვის ვადის ათვლა. კომისია აღნიშნავს, რომ თვითრეგულირების მიზანია მაუწყებლის საქმიანობის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა და საამისოდ მაუწყებელს შემუშავებული აქვს შესაბამისი დებულება.

შესაბამისად, კომისიას მიაჩნია, რომ დაშვებულ უნდა იქნეს დაინტერესებული პირების საჩივარი და განხილულ იქნეს იგი არსებითად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი

საქართველოს კონსტიტუცია, „სიტყვისა და გამოხატვის შესახებ“ საქართველოს კანონი, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი, „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ და სხვა შიდა ეროვნული თუ საერთაშორისო საკანონმდებლო აქტები აღგენს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას.

ყველა ადამიანს აქვს გამოხატვის ინდივიდუალური ხერხი, მოცემულ შემთხვევაში, განხილვის საგანია ტელეკომპანია „ფორმულას“ ერთ-ერთი გადაცემის სტუმრის და არა მისი წამყვანის მიერ გაკეთებული განცხადება, რომელიც შეფასებითი კატეგორიაა და მის პირად მოსაზრებას წარმოადგენს. აქვე აღსანიშნავია, რომ სტუმარმა, გიორგი ჯანელიძემ მოგვიანებით გაავრცელა მიმართვა, სადაც ბოდიშს იხდიდა აღნიშნული განცხადების გამო და საუბრობდა მის მოტივზე. რაც შეეხება ტელეკომპანია „ფორმულას“ უშუალო თანამშრომელს და გადაცემის წამყვან ვახო სანაიას, მისი მხრიდანაც გავრცელდა განცხადება გადაცემაში „კომენტარი“, სადაც მან აღნიშნა, რომ იგი უერთდებოდა სტუმრის მიერ გავრცელებულ ბოდიშს და მას ავრცელებდა პირადად, როგორც ამ კონკრეტული გადაცემის წამყვანი.

დაინტერესებული მხარეები წინამდებარე საჩივარში უთითებენ რამდენიმე საკანონმდებლო ნორმაზე:

საჩივრის ავტორების მხრიდან მითითება კეთდება მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 33-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმადაც, მაუწყებელმა თავი უნდა აარიდოს ეთნიკურ ან რელიგიურ კუთვნილებასა და უარყოფით მოვლენებს შორის დაუსაბუთებელი პარალელების გავლებას, მათ შორის ცალკეული პიროვნებების საქმიანობის ასოცირებას მთელ ჯგუფთან. აგრეთვე ამავე მუხლის მე-6 პუნქტზე, რომლის მიხედვითაც მაუწყებელმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უნდა აღწეროს არაშეურაცხყოფილი ტერმინოლოგიით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვას, ფიზიკურ და მორალურ კეთილდღეობას და თანხმობის მიღებას.

აგრეთვე, ხაზგასმა კეთდება დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონი მე-4 მუხლზე, რომლის თანახმადაც: „დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების შესაბამისად პასუხისმგებლობა დააკისროს მის დაქვემდებარებაში მყოფ დამრღვევ პირს და უბრუნველყოს დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრა მესამე პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეულახავად“.

მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ერთი და იმავე შინაარსის პრობლემა, დაინტერესებული მხარის მიერ მითითებული ყველა პუნქტი მიემართება მაუწყებლის, მისი წარმომადგენლის ან/და მის დაქვემდებარებაში მყოფი პირისკენ, მათი მხრიდან წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებით კი

დასტურდება, რომ შესაძლო დისკრიმინაციული გამონათქვამი გაავრცელა გადაცემის სტუმარმა და არა კონკრეტულად მაუწყებლის წარმომადგენელმა, შესაბამისად, აცდენა საკანონმდებლო ნორმის სუბიექტში, რომელიც პასუხისმგებელია ამა თუ იმ ქმედებაზე.

გარდა ამისა, მითითება კეთდება მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-6 მუხლზე, რომელიც ადგენს მაუწყებლისთვის შესწორების ან/და უარყოფის ვალდებულებას. აღნიშნული მუხლის თანახმად, დაინტერესებულ პირს საწყისი განცხადების გაკეთებიდან, მათ შორის, ფაქტის მოყვანიდან 10 დღის ვადაში უფლება აქვს მოსთხოვოს შესაბამის მაუწყებელს საწყისი განცხადებაში მოცემული მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორება ან უარყოფა საწყისი განცხადების ხანგრძლივობით და დაახლოებით იმ დროს, როდესაც გაკეთდა საწყისი განცხადება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლით დადგენილი წესით.

ისმის კითხვა თუ ვის აქვს შესაბამისი მოთხოვნის უფლება და ვინ წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს?

მაუწყებელთა ქცევის კოდექსი განმარტავს დაინტერესებული მხარის ცნებას, რომელსაც აქვს შესაბამისი უარყოფის მოთხოვნის უფლება. მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, **დაინტერესებული მხარე არის „ნებისმიერი პირი, რომელსაც ეხება ან რომელიც ნახსენებია პროგრამაში ან მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს გადაწყვეტილებაში“.**

შესაბამისად, საჩივრის ავტორები არ წარმოადგენენ აღნიშნული უფლების სუბიექტებს, მათ არ აქვთ სამართლებრივი უფლებამოსილება იმოქმედონ კოდექსის მე-6 მუხლის ფარგლებში, მოითხოვონ შესწორება ან უარყოფა, რადგან მაუწყებელთა ქცევის კოდექსის განმარტებით, ისინი დაინტერესებული მხარის კატეგორიას არ განეკუთვნებიან. ამას გარდა, ამ განმარტებაში ხაზგასმითაა მცდარ და აუდიტორიის შეცდომაში შემყვან ინფორმაციაზე, ხოლო სტუმრის მიერ გაკეთებული ეს განაცხადი შეფასებითი კატეგორია და მის პირად აზრს წარმოადგენს.

მაუწყებელს პასუხისმგებლობა ეკისრება მის მიერ განთავსებული პროგრამის შინაარსზე და მისი წარმომადგენლის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე და არა მოწვეული სტუმრის მიერ გამოთქმულ მოსაზრებაზე. მიუხედავად ამისა, მაუწყებლის წარმომადგენელს შესაძლოა ეკისრებოდეს იმნუთიერი შესწორების ვალდებულება თუკი სტუმრის მიერ წარმოთქმული მოსაზრება გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

როგორც უკვე აღინიშნა, გადაცემის წამყვანმა ვახო სანაიამ, გადაცემაში „კომენტარი“ განმარტა მისი პოზიცია, შეურთდა სტუმრის მიერ გამოთქმულ ბოდიშს და უარყო ეს შეფასება იმავე საშუალების გამოყენებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იცავს პირის პირად არაქონებრივ უფლებას, სსკ 18-ე მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით, თუ პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფაც უნდა მოხდეს ამავე საშუალებებით. თუ ამგვარ მონაცემებს შეიცავს ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი, მაშინ ეს საბუთი უნდა შეიცვალოს და ამის შესახებ ეცნობოს დაინტერესებულ პირებს. აღნიშნული ვალდებულება, კერძოდ, იმავე საშუალებით გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა, განხორციელდა გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ, კერძოდ, 2020 წლის 16 ნოემბერს, ჯერ კიდევ თვითრეგულირების ორგანოში წინამდებარე საჩივრის შეტანამდე.

შესაბამისად, კომისიას მიაჩნია, რომ საჩივრის შეტანის მომენტისთვის აღარ არსებობს მაუწყებლის მიერ განსახორციელებელი ვალდებულება, კომისია დამატებით, მისი წარმომადგენლის მიმართ გასცემს რეკომენდაციას, რომ მოწვეული სტუმრის მიერ გაკეთებული შესაძლო დისკრიმინაციული განცხადების გაკეთების შემთხვევაში, მან დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება აღნიშნულზე შესწორების სახით.

კომისია ამასხილებს ყურადღებას დაინტერესებული პირების მოთხოვნებზე:

(1) განხილულ იქნეს წინამდებარე საჩივარი და მოხდეს საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლა - კომისია აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას, რადგან განიხილავს წინამდებარე საჩივარს არსებითად და იღებს გადაწყვეტილებას.

(2) საჩივარი განხილულ იქნეს ზეპირი მოსმენით - კომისია უარს ამბობს საჩივრის განხილვაზე ზეპირი მოსმენით, ვინაიდან, კანონმდებლობით გათვალისწინებულია ყველა შესაძლო ზომა უკვე მიღებულ იყო საჩივრის მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოში შეტანის მომენტისთვის.

კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება

კომისიის მიერ თვითრეგულირების ორგანოში შესულ და განხილულ საჩივარზე მიღებულ იქნეს შემდეგი გადაწყვეტილება ზეპირი მოსმენის გარეშე:


1) არ დადგინდეს „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ 31-ე მუხლის და 33-ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა, ვინაიდან კანონმდებლობით გათვალისწინებულია ყველა შესაძლო ზომა (ფაქტის უარყოფა/ფაქტის დაგმომა) უკვე მიღებულ იყო საჩივრის ტელეკომპანიის თვითრეგულირების ორგანოში შეტანის მომენტისთვის.

2) გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს საჩივრის წარმდგენ დაინტერესებულ პირებს.


3) გადაწყვეტილება შესაძლოა გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში. სააპელაციო საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას #45 ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით: legal@formula.ge.

კომისიის წევრები:


ზურაბ გუმბარიძე




გიორგი ლაფერაშვილი



ლიკა კინწურაშვილი



მაკა ფანქველაშვილი



შპს ფორმულა

**ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

2020 წლის 31 დეკემბერი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
განმარტებითი შენიშვნები	9
დასკვნის ბოლო გვერდი	31

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ფორმულა“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

ფინანსური ანგარიშგების დასკვნა

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი ორგანიზაცია შპს „ფორმულა“-ს (შემდეგში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, რომელთა შორისაა ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ფინანსურ საქმიანობას და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. ჩვენი ვალდებულებები აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, უფრო დეტალურად აღწერილია ჩვენი ანგარიშის ფინანსური ანგარიშგების განყოფილებაში დასახელებით - აუდიტორის ვალდებულებები ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდის (IESBA Code) ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და საქართველოში არსებულ ჩვენს აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის მოთხოვნების შესაბამისად და აღნიშნული მოთხოვნების (და IESBA კოდის) შესაბამისად ვასრულებთ ჩვენ ეთიკურ მოვალეობებს. ჩვენი აზრით, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა ჩვენი მოსაზრების წარმოსადგენად.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშგების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რასაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარიშგების მატერიალური შეცდომების გარეშე მოსამზადებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიედ გამოწვეული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების

შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ

შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგები მთლიანად თავისუფალია უნებლიე დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISA-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალკე-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის ნაწილი ISA-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინაჩვენებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავეთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვეთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძველის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება არის დავით გვეტაძე.

29 აპრილი 2021

თბილისი, საქართველო

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება არის დავით გვეტაძე.

29 აპრილი 2021

თბილისი, საქართველო

შპს „ფორმულა“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	10,842,468	5,721,540
არამატერიალური აქტივები	6	2,581,341	2,174,179
კაპიტალური დანახარჯებისთვის გადახდილი ავანსები	8	847,740	1,915,046
აქტივის გამოყენების უფლება	7	4,920,762	2,016,074
გრძელვადიანი ინვესტიციები		700,000	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		19,892,311	11,826,839
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები		8,928	5,867
წინასწარ გადახდილი და ანაზღაურებადი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)		-	563,342
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	1,800,006	1,574,095
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	253,686	1,115,063
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,062,620	3,258,367
სულ აქტივები		21,954,931	15,085,206
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
აკუმულირებული დეფიციტი	11	(35,024,247)	(561,083)
სულ კაპიტალი		(35,024,247)	(561,083)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	12	50,446,814	13,038,173
ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე	13	4,817,893	1,983,429
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		55,264,707	15,021,601
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	1,523,489	562,525
გადასახდელი ხელფასები		15,711	29,518
საგადასახადო ვალდებულება		72,403	-
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		102,868	32,646
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,714,471	624,688
სულ ვალდებულებები		56,979,178	15,646,289
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		21,954,931	15,085,206

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი

29 აპრილი 2021

თბილისი, საქართველო; შენიშვნები გვერდებზე 9-31 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-4.

შპს „ფორმულა“
 სრული შემოსავლების ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ამონაგები	შენიშვნა	2020	2019
შემოწირულობა	15	2,216,147	4,850,000
სარეკლამო შემოსავალი	20	1,985,486	359,610
სხვა შემოსავალი	20	644,552	-
სულ ამონაგები		4,846,185	5,209,610
ხარჯები			
დაქირავებით მომუშავე პირთა ანაზღაურების ხარჯები	16	(14,451,670)	(2,538,144)
ადგილობრივი ტელესერიალების ხარჯი	17	(1,829,373)	(996,610)
ადგილობრივი გადაცემების ხარჯი		(1,650,994)	
კვლევის ხარჯები	18	(1,922,611)	(422,640)
იჯარის ხარჯი	19	(1,135,647)	(342,090)
მარკეტინგის და რეკლამის ხარჯი		(465,245)	(252,721)
სხვა პროფესიული მომსახურება		(1,584,643)	(175,741)
ტრანსლიაციის ხარჯი		(969,946)	(154,102)
არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი		(823,081)	(119,693)
მასალები და მცირეფასიანი ნივთები		(418,178)	(118,691)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი		(2,017,048)	(110,900)
საინფორმაციო სააგენტოების ხარჯი		(478,115)	(93,560)
საკომუნიკაციო ხარჯი		(182,155)	(57,934)
თარგმნის და გახმოვანების ხარჯი		(93,602)	(60,545)
ვიდეო, აუდიო და გრაფიკული მომსახურება		-	(52,197)
მივლინების ხარჯი		(79,886)	(55,510)
ავტომობილების საექსპლუატაციო და საწვავის ხარჯები		(203,102)	(42,306)
სატელევიზიო რეიტინგის დათვლის მომსახურება		(471,843)	(37,842)
სამეურნეო ხარჯი		(171,257)	(32,902)
გადასახადების ხარჯები, მოგების გადასახადის გარდა		(61,574)	(27,923)
ოფისის ხარჯები		(76,308)	(25,934)
დომენი, ვებგვერდის მომსახურება, ჰოსტინგი და სხვ.		(322,514)	(23,071)
ტრანსპორტირების და გზავნილების ხარჯები		(3,309)	(14,864)
კომუნალური ხარჯები		(125,586)	(14,371)
ფილმების შერჩევა		(35,799)	(10,750)
ბანკის საკომისიო		(31,499)	(8,620)
წარმომადგენლობითი ხარჯი		(27,131)	(6,724)
საკანცელარიო ხარჯი		(10,854)	(3,735)
სხვა ხარჯები		(666,919)	(34,169)
სულ ხარჯი		(30,309,910)	(5,834,289)
წმინდა მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან		-	(48,034)
საოპერაციო ზარალი		(25,463,725)	(672,713)
ფინანსური შემოსავალი		(8,987,582)	111,630
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგრამდე		(34,451,308)	(561,083)
მოგების გადასახადის ხარჯი		(11,856)	-
პერიოდის ზარალი		(34,463,164)	(561,083)

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი

29 აპრილი 2021

თბილისი, საქართველო; შენიშვნები გვერდებზე 9-31 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-4.

შპს „ფორმულა“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/(დეფიციტი)	სულ
ნაშთი 2019 წლის 22 ივლისის მდგომარეობით	-	-	-
კაპიტალის ცვლილება	-	-	-
პერიოდის წმინდა მოგება/(ზარალი)	-	(561,083)	(561,083)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი მდგომარეობით	-	(561,083)	(561,083)
კაპიტალის ცვლილება	-	-	-
პერიოდის წმინდა მოგება/(ზარალი)	-	(34,463,164)	(34,463,164)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი მდგომარეობით	-	(35,024,247)	(35,024,247)

ხელმოწერი პირები:

დირექტორი

29 აპრილი 2021
 თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 9-31 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-4.

შპს „ფორმულა“
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერი

	2020	2019
ფულადი ნაკადების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული თანხები (დღგ-ს ჩათვლით)	1,392,987	95,044
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები (საქონელსა და მომსახურებაზე გადასახადების ჩათვლით)	(6,199,870)	(5,071,734)
დაქირავებით მომუშავეებზე გადახდილი თანხები (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით)	(12,205,055)	(1,841,255)
დაბრუნებული საოპერაციო გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	1,159,840	905,000
გადახდილი სახელმწიფო და რეგულირების გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(1,595,528)	(640,726)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(17,447,625)	(6,553,672)
ფულადი ნაკადების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
გადახდები შვილობილი კომპანიის შესყიდვისთვის	(500,000)	(200,000)
გადახდები ძირითადი საშუალებების შესყიდვისთვის	(10,359,549)	(10,008,128)
გადახდები არამატერიალური აქტივების შესყიდვისთვის	(344,576)	(77,075)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(11,204,125)	(10,285,204)
ფულადი ნაკადების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან		
შემოწირულობა	28,920	4,850,000
ნასესხები თანხების მიღება	27,870,361	13,149,800
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	27,899,281	17,999,800
ფულადი სახსრების გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგი	(108,906)	(45,861)
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა	(861,376)	1,115,063
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	1,115,063	-
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	253,687	1,115,063

ხელმოწერი პირები:

 დირექტორი

29 აპრილი 2021
 თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 9-31 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-4.

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

კომპანია დაფუძნდა 2019 წლის 22 ივლისს. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს, რომელიც შექმნილია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია “საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო”-ს მიერ და მისი საიდენტიფიკაციო ნომერია 405345666.

კომპანიის მფლობელობის სტრუქტურა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი:

დასახელება	წილი
დავით კეზერაშვილი	51.00 %
მიხეილ მშვილდაძე	12.25 %
ირაკლი საღინაძე	12.25 %
ზურაბ გუმბარიძე	12.25 %
გიორგი ლიფონავა	12.25 %

კომპანიამ მოიპოვა მაუწყებლობის ავტორიზაცია #RB-5067 2019 წლის 29 აგვისტოს, რის საფუძველზეც ფუნქციონირებს საქართველოს ტელესამაუწყებლო სფეროში. კომპანიამ საცდელ რეჟიმში დაიწყო მაუწყებლობა 2019 წლის 1 ოქტომბერს, ხოლო 2020 წლის 9 მარტიდან გადავიდა ჩვეულ მაუწყებლობის რეჟიმში.

კომპანიის საქმიანობა მოიცავს საინფორმაციო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, გასართობი, იუმორისტული, მუსიკალური, საგანმანათლებლო, შემეცნებითი, ინტელექტუალური, დოკუმენტური და სხვა ტიპისა და სარედაქციო დასაბუთების გადაცემების მომზადებას და სატელევიზიო ეთერით გადაცემას.

კომპანია რეგისტრირებულია მისამართზე: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ქუჩა ადამ მიცკევიჩი N 29. კომპანია საქმიანობს მისამართზე: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას #45, ბიზნესცენტრი დელისის შენობა.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-2019	1-სექ-2020
1 USD/GEL	2.8677	3.2766
1 EUR/GEL	3.2095	4.0233

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებების და განმარტებითი შენიშვნებისგან 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე მოიცავს შესადარის ინფორმაციას 2019 წლის 31 დეკემბრამდე.

რადგან 2020 წლის 31 დეკემბრისთვის ძალაში მყოფი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შეიძლება შეიცვალოს ბასს-ის (IASB) ან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის (IFRIC) მიერ, მენეჯმენტი არ გამორიცხავს ალბათობას, რომ საბოლოო ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგებების კორექტირება ამ ცვლილებების გამო.

ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) დანერგვა

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები, წარმოადგენს კომპანიის მიერ პირველად მომზადებულ ანგარიშგებებს.

შესაბამისად, კომპანიამ ფინანსური ანგარიშგებები მოამზადა 2019 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული IFRS სტანდარტების მიხედვით, შედარების მიზნებისთვის 2019 წლის 1 სექტემბრით დასრულებული პერიოდის მონაცემების ჩათვლით, როგორც ამას მოითხოვს სააღრიცხვო პოლიტიკა.

შესაბამისად მოცემული ფინანსური ანგარიშგებები 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის არ არის პირველი, რომელიც კომპანიამ მოამზადა IFRS-ის შესაბამისად.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების

მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რა თანხადაც შესაძლოა აქტივის გადაცემა/რეალიზება ან ვალდებულების გადახდა, ნებაყოფლობით თანაბარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორის გაშლილი ხელის მანძილის პირობებში. რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზების ფასი და მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აბათილებენ ერთმანეთის საბაზრო რისკს, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისათვის რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების ან მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად, როგორც ის შეფასებულია მოქმედ ბაზარზე, თუკი მოცემული ფასები რეგულარულად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დაწესებულებებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არსებობს ინფორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან მოდელი დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე, ან ინვესტორების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება. შეფასების მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს, რომელიც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვებია ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებში ან მთლიან ვალდებულებებში.

ტრანზაქციის დანახარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შეძენაზე, გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები. ნამატი ხარჯი არის დანახარჯი, რომელზეც არ გაიწეოდა ტრანზაქცია, რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯები შეიცავს შუამავლისთვის (გაყიდვების შუამავლად დასაქმებული თანაშრომლის ჩათვლით), მრჩევის, ბროკერისა და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს, მარგულირებელი სააგენტოების და ფასიანი ქაღალდების გაცვლის გადასახადს, სატრანსფერო გადასახადს. ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს ვალდებულების პრემიუმს ან ფასდაკლებას, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ფლობის ხარჯს.

ამორტიზებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის, დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულებისა და სარგებლიანობის ვადის ამოწურვისათვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით), ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი

საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, არის განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში განსაზღვრული მომავალი ფულადი ნაკადების მთლიანად ადისკონტირებს ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას, გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვლადებზე, რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით. მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადებს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები ხვდება სესხების და მოთხოვნების განსაზღვრის კატეგორიაში. სესხები და მოთხოვნები არის არადერივადი ფინანსური აქტივები ფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით, რომელიც მოქმედ ბაზარზე არ არის შეფასებული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით, შედის მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში.

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია, როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით, თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით, კერძოდ თარიღით, როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას შეიძინოს, ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება, მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით („დანაკარგის მოვლენები“), რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფისგან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვადებზე და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა, გამოწვეული გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგება-ზარალზე მათი მოხდენის პერიოდში. თუ კომპანია დაასკვნის, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების შესამოწმებლად კომპანიის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არის მისი ვადაგადაცილებულობის სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის, ასეთის არსებობის შემთხვევაში სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითადი კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცილებულია და ვადაგადაცილება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაყოვნებით. მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ვარიანტს;
- სახეზეა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად, რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზე ან;
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად.

თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახედვა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარეზერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, გამოკლებული მისი მიღების და რეალიზაციის დანახარჯები, იმის მიუხედავად არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის მოსალოდნელი რეალიზაცია.

თუკი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას (როგორიცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მოხდება სარეზერვო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგება-ზარალზე.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების დანაკარგის რეზერვის ანგარიშზე აქტივის აღდგენისათვის ყველა საჭირო პროცედურის დასრულების და დანაკარგის მოცულობის განსაზღვრის შემდეგ. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა დაკრედიტდება გაუფასურების დანაკარგის ანგარიშზე წლის მოგება-ზარალზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული

ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგირი საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთისათვის:

	სასარგებლო ვადა (წელი)
მანქანა-დანადგარები	6
ოფისის აღჭურვილობა	4
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	4

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები

შემძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის წრფივი მეთოდის გადახედვა. არამატერიალური აქტივებისთვის განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადით, ტარდება გაუფასურების ტესტი წლიურად. არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა იწყება იმ თარიღიდან, როცა იწყება აქტივის გამოყენება.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია

ცვეთა აღიარდება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდით აქტივის თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში გუდვილის გარდა, იმ დღიდან, როდესაც ისინი ხელმისაწვდომი იქნება გამოსაყენებლად.

მიმდინარე და შედარებითი პერიოდების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

პროგრამული უზრუნველყოფა	5 წელი
სავაჭრო ნიშნები და რეკლამის დიზაინები	5 წელი
ლიცენზიები და დათმობები	25 წელი

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება აღმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულებასა და სუფთა საერალიზაციო ფასს შორის უმცირესით.

მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და დამთავრებისა და გაყიდვის მოსალოდნელი ხარჯების სხვაობით.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვლდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

სესხები

სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

კლიენტებთან დადებული კონტრაქტებიდან შემოსავალი

ეს ახალი სტანდარტი გვთავაზობს მთავარ პრინციპს, რომ შემოსავალი აღიარებული უნდა იყოს მაშინ, როცა საქონელი ან მომსახურებები გადაეცემა კლიენტს, გარიგებაში ფაქტიური გაყიდვის ფასად. ნებისმიერი პაკეტით განსაზღვრული საქონელი ან მომსახურებები, რომლებიც განსხვავდება, ცალკე უნდა იყოს აღიარებული და საკონტრაქტო ფასის ნებისმიერი დისკონტი ზოგადად უნდა გადანაწილდეს ცალკე ელემენტებზე. როცა უზრუნველყოფა რაიმე მიზეზით იცვლება, მინიმალური თანხები აღიარებული უნდა იყოს, თუ მათ არ აქვთ შეზღუდვის მნიშვნელოვანი რისკი. კლიენტებთან კონტრაქტების უზრუნველყოფით გამოწვეული ხარჯები უნდა კაპიტალიზდებოდეს და ამორტიზებული იქნას პერიოდის განმავლობაში, როცა კონტრაქტის სარგებელი მოიხმარება. ეს ცვლილება არ არის მოსალოდნელი, რომ რაიმე გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშებზე.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

გადასახადები

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება გამოუყენებელი საგადასახადო დანაკარგებისთვის, იმდენად რამდენადაც სავარაუდოა, რომ დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება დანაკარგების გამოყენებისთვის. მენეჯმენტის მსჯელობა საჭიროა, რათა განისაზღვროს გადავადებული საგადასახადო აქტივის ღირებულება, რომელიც შეიძლება აღიარდეს, მომავალ დასაბეგრ მოგებასა და მომავალ საგადასახადო სტრატეგიაზე დაყრდნობით.

ფინანსურ ანგარიშგებებში მოგებიდან გადასახადი ასახულია არსებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომუშავებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% მთლიან თანხაზე (ანუ ნეტო დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით, საჭიროების შემთხვევაში, და მთლიანი თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. 2017 წლის 1 იანვრიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგრვას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებული არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ 'გადასახადებში', და არა მოგების გადასახადში.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

შემოსავლები შემოწირულობიდან

შემოსავალი შემოწირულობიდან აღიარდება კომპანიის მიერ მიღებული შემოწირულობის საფუძველზე. შემოსავლის აღიარება ხდება საკასო მეთოდით

ფინანსური ლიზინგი

ახალ სტანდარტში წარმოდგენილია აღიარების, შეფასების, პრეზენტაციისა და ლიზინგების ასახვის პრინციპები. ყველა ლიზინგი იწვევს იმას, რომ მოიჯარე, იღებს აქტივის გამოყენების უფლებას ლიზინგის დასაწყისშივე, და თუ იჯარის გადახდა ხდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ასევე დაფინანსების მიღების შესაძლებლობას. შესაბამისად, ფასს 16 აფასებს იჯარების საოპერაციო ლიზინგად ან ფინანსურ ლიზინგად კლასიფიკაციას, როგორც ამას მოითხოვს ბასს 17 და ამის ნაცვლად, შემოაქვს ერთი მოიჯარის საბუღალტრო აღრიცხვის მოდელი. მოიჯარეებმა უნდა აღიარონ: (ა) აქტივები და ვალდებულებები 12 თვეზე მეტ ვადიანი ლიზინგებისთვის, თუ წარმოდგენილი აქტივი დაბალ ღირებულიანი არ არის; და (ბ) იჯარით გაცემული აქტივის ცვეთა იჯარის ვალდებულებებზე პროცენტისგან ცალკე მოგება-შემოსავლის ანგარიშგებაში. ფასს 16-ს არსებითად გადააქვს მეიჯარის საბუღალტრო აღრიცხვის მოთხოვნები ბასს 17-ში. შესაბამისად, მეიჯარე აგრძელებს მისი იჯარების საოპერაციო ლიზინგებად ან ფინანსურ ლიზინგებად კლასიფიკაციას, და სხვადასხვაგვარად უდგება ამ ორი ტიპის ლიზინგს. მენეჯმენტი 2020 წლიდან იყენებს IFRS 16-ს საკუთარ ანგარიშგებებში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. IAS 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

სტანდარტები, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან და შემდგომ პერიოდებზე

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (გამოცემული 2014 წლის ივლისში) - სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 39 სტანდარტს (ასევე ჩაანაცვლებს ფასს 9 სტანდარტის ყველა წინა ვერსიას) 2018 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. სტანდარტი მოიცავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვის, გაუფასურების, ჰეჯირების აღრიცხვისა და აღიარების შეწყვეტის წესებს.

ფასს 9-ს მიხედვით ყველა აღიარებული ფინანსური აქტივის შემდგომი აღრიცხვა უნდა მოხდეს ამორტიზებული ან რეალური ღირებულებით (მოგებაზე ან ზარალზე ან სხვა საერთო შემოსავალზე) კლასიფიკაციის მიხედვით ბიზნესის მოდელის და კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების მახასიათებლების გათვალისწინებით.

ფინანსურ ვალდებულებებზე ფასს 9 სტანდარტი ყველაზე დიდ გავლენას ახდენს იმ შემთხვევაში, სადაც გამოიყენება რეალური ღირებულების მეთოდი: ისეთი ფინანსური ვალდებულების რეალური ღირებულების ცვლილების აღიარება, რომელიც აღრიცხულია რეალური ღირებულებით ვალდებულების რისკების ცვლილებით გამოწვეული მოგებისა და ზარალის გათვალისწინებით, ხდება სხვა საერთო შემოსავალში (მოგებასა და ზარალში აღიარების ნაცვლად) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს იწვევს წინააღმდეგობას აღრიცხვაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის ფასს 9 სტანდარტში შემოტანილია „მოსალოდნელი კრედიტის დანაკარგის“ მოდელი, რომელიც დაფუძნებულია კონტრაქტის საწყის ეტაპზე მოსალოდნელი ზარალის გათვალისწინების პრინციპზე. კრედიტის დანაკარგის აღიარებისთვის აუცილებელი აღარ იქნება გაუფასურების ობიექტური მიზეზის არსებობა.

ჰეჯირების აღრიცხვისთვის ფასს 9 სტანდარტში შემოტანილია არსებითი რევიზია, რისი წყალობითაც ფინანსური ანგარიშგებები უკეთ ასახავენ, თუ როგორ ტარდება რისკის მართვის აქტივობები ფინანსური და არაფინანსური რისკების ჰეჯირებისას.

ფასიკ 22 “ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და წინასწარი ანაზღაურება” (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ)

ინტერპრეტაცია ითვალისწინებს ოპერაციის თარიღის განსაზღვრის წესს უცხოურ ვალუტაში ოპერაციების შესახებ სტანდარტის გამოყენების დროს. ბასს 21. ინტერპრეტაცია გამოიყენება როდესაც საწარმო იხდის ან იღებს ანაზღაურებას წინასწარ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული კონტრაქტებისთვის. ინტერპრეტაცია მიუთითებს, რომ ოპერაციის თარიღი არის დღე, რომელზეც საწარმო თავდაპირველად აღიარებს არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება წინასწარი ანაზღაურების გადახდის ან მიღების შედეგად. რამდენიმე წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, ინტერპრეტაცია მოითხოვს საწარმომ განსაზღვროს ოპერაციის თარიღი წინასწარი ანაზღაურების თითოეულ გადახდასთან ან მიღებასთან დაკავშირებით. ინტერპრეტაცია მოითხოვს საწარმომ განსაზღვროს ოპერაციის თარიღი წინასწარი ანაზღაურების თითოეული გადახდისთვის ან მიღებისთვის. არანაირი არსებითი გავლენა არ არის მოსალოდნელი კომპანიაზე ახალი სტანდარტის შემოღების შედეგად.

ფასიკ 23 “გაურკვევლობები მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ” (გამოცემულია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ)

ბასს 12 მიუთითებს მიმდინარე და გადავადებული გადასახადის აღრიცხვის წესს, მაგრამ არ მიუთითებს გაურკვევლობების შედეგების ასახვის წესს. ინტერპრეტაცია განსაზღვრავს აღიარების და შეფასების მოთხოვნების წესს ბასს 12-ში, გაურკვევლობის შემთხვევაში მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ. საწარმომ უნდა განსაზღვროს განიხილოს თუ არა თითოეული გაურკვეველი საგადასახადო რეჟიმი ცალკე თუ სხვა ერთ ან მეტ გაურკვეველ საგადასახადო რეჟიმებთან ერთად, რომელი მიდგომის საფუძველზეც უკეთ განსაზღვრავს გაურკვევლობის გადაწყვეტის საკითხს. საწარმომ უნდა დაუშვას, რომ საგადასახადო ორგანო შეამოწმებს იმ თანხებს, რომლის შემოწმების უფლებაც გააჩნია და სრული ინფორმაცია აქვს ასეთი შემოწმებების განხორციელების დროს. თუ საწარმოს დასკვნით არ არის შესაძლებელი რომ საგადასახადო ორგანომ მიიღოს გაურკვეველი საგადასახადო რეჟიმი, გაურკვევლობის ეფექტი უნდა აისახოს დაკავშირებული დაბეგვრადი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტების ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრაში, სარწმუნო თანხის ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით, რომელი მეთოდის საფუძველზეც საწარმო უკეთ განსაზღვრავს გაურკვევლობის გადაწყვეტის საკითხს. საწარმო ასახავს ცვლილების შედეგს ფაქტობრივად და გარემოებების მიხედვით ან ახალი ინფორმაციის შედეგს, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ შეფასებებზე, წინასწარი აღრიცხვის ცვლილების სახით. ცვლილებების მაგალითები ფაქტობრივად და გარემოებებში ან ახალი ინფორმაცია, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ხელმეორედ შეფასება, მოიცავს და არა მხოლოდ შემოწმებებს ან ქმედებებს საგადასახადო ორგანოს მიერ, ცვლილებებს წესებში, რომელიც დადგენილია საგადასახადო ორგანოს მიერ ან გამოიწვიოს საგადასახადო ორგანოს საგადასახადო რეჟიმის შემოწმების ან განმეორებით შემოწმების უფლების ამოწურვა. საგადასახადო რეჟიმთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოს შეთანხმების არარსებობა ან უთანხმოება არ მოიცავს ცვლილებას ფაქტობრივად და გარემოებებში ან ახალ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ შეფასებებზე. კომპანია ამჟამად აფასებს ინტერპრეტაციის ზემოქმედებას ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შპს „ფორმულა“
შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2020 წლის 31 დეკემბერი

5. ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
თვითღირებულება					
ნაშთი, 31 დეკემბერი 2019	4,963,075	300,445	187,619	381,302	5,832,441
შეძენა	4,889,473	331,499	344,852	2,150,074	7,715,898
გასვლა	(576,769)	-	(826)	(327)	(577,922)
ნაშთი, 31 დეკემბერი 2020	9,275,779	631,944	531,645	2,531,049	12,970,416
დაგროვილი ცვეთა					
ნაშთი, 31 დეკემბერი 2019	63,398	18,372	6,966	22,164	110,900
ცვეთა	1,238,057	110,822	76,808	591,459	2,017,146
გასვლა	(98)	-	-	-	(98)
ნაშთი, 31 დეკემბერი 2020	1,301,357	129,195	83,773	613,624	2,127,948
საბალანსო ღირებულება					
ნაშთი, 31 დეკემბერი 2019	4,899,677	282,073	180,654	359,137	5,721,540
ნაშთი, 31 დეკემბერი 2020	7,974,422	502,749	447,871	1,917,425	10,842,468

6. არამატერიალური აქტივები

	ლიცენზიები	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
თვითღირებულება			
ნაშთი, 31 დეკემბერი 2019	1,191,918	1,101,954	2,293,872
შეძენა	772,344	458,203	1,230,547
გასვლა	(303)	-	(303)
ნაშთი, 31 დეკემბერი 2020	1,963,958	1,560,157	3,524,115
დაგროვილი ამორტიზაცია			
ნაშთი, 31 დეკემბერი 2019	115,559	4,134	119,693
ცვეთა	630,785	192,296	823,081
გასვლა	-	-	-
ნაშთი, 31 დეკემბერი 2020	746,344	196,430	942,774
საბალანსო ღირებულება			
ნაშთი, 31 დეკემბერი 2019	1,076,359	1,097,820	2,174,179
ნაშთი, 31 დეკემბერი 2020	1,217,614	1,363,727	2,581,341

7. აქტივის გამოყენების უფლება

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
მე-4 სართული	965,978	512,198
მე-6 სართული	984,867	520,572
მე-9 სართული	135,637	-
მე-10 სართული	181,580	-
მე-13 სართული	510,055	-
მე-17,18 სართული	1,860,304	983,303
პავილიონი	266,864	-
სახურავი	15,476	-
სულ აქტივის გამოყენების უფლება	4,920,762	2,016,074

8. კაპიტალური დანახარჯებისთვის გადახდილი ავანსები

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
კაპიტალური დანახარჯებისთვის გადახდილი ავანსები	847,740	1,715,046
კომპანიის წილის შესაძენად გადახდილი ავანსები	-	200,000
სულ კაპიტალური დანახარჯებისთვის გადახდილი ავანსები	847,740	1,915,046

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
სავაჭრო მოთხოვნები	1,169,473	378,145
სხვა მოთხოვნები	-	225,703
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფინანსურ მოთხოვნებში	1,169,473	603,848
ფილმების და სერიალების შეძენაზე გადახდილი ავანსები	630,533	862,169
გადახდილი ავანსები	-	108,077
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,800,006	1,574,095

სავაჭრო მოთხოვნები მიმდინარეა და არ შეიცავს ხანდაზმულ დებიტორებს, ამიტომ კომპანიის მენეჯმენტის რწმენით სავაჭრო მოთხოვნების აღიარებულ ოდენობასა და მათ სამართლიან ღირებულებას შორის სხვაობა არ არის.

10. ფული და ფულის ექვივალენტები

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	15	-
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	244,284	71,416
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში (ევრო)	9,387	1,043,647
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	253,686	1,115,063

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

11. კაპიტალი

კომპანიას საწესდებო კაპიტალში შენატანი არ განუხორციელებია. საანგარიშგებო პერიოდებში დივიდენდის გაცემა არ დაფიქსირებულა.

12. ნასესხები სახსრები

	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
ვადიანი სესხი რეზიდენტი კომპანიიდან	11%	26 მარტი 2021	934,126	1,483,013
ვადიანი სესხი არა-რეზიდენტი კომპანიიდან	6%	5 დეკემბერი 2021	6,196,820	274,136
ვადიანი სესხი არა-რეზიდენტი კომპანიიდან	5%	31 დეკემბერი 2024	-	2,712,480
ვადიანი სესხი არა-რეზიდენტი კომპანიიდან	6%	31 დეკემბერი 2024	-	8,568,543
ვადიანი სესხი არა-რეზიდენტი კომპანიიდან	5%	31 დეკემბერი 2024	803,023	-
ვადიანი სესხი არა-რეზიდენტი კომპანიიდან	5%	31 დეკემბერი 2024	37,764,284	-
ვადიანი სესხი არა-რეზიდენტი კომპანიიდან	5%	31 დეკემბერი 2024	4,342,807	-
ვადიანი სესხი არა-რეზიდენტი კომპანიიდან	3%	1 აგვისტო 2022	405,755	-
სულ ნასესხები სახსრები			50,446,814	13,038,173

13. ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
მე-4 სართული	946,909	503,744
მე-6 სართული	965,978	512,198
მე-9 სართული	132,614	-
მე-10 სართული	177,401	-
მე-13 სართული	498,317	-
მე-17,18 სართული	1,824,626	967,486
პავილიონი	256,922	-
სახურავი	15,126	-
სულ ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე	4,817,893	1,983,429

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2020	2019
სხვა ვალდებულებები და კრედიტორები	174,767	130,543
სავაჭრო ვალდებულებები	960,495	125,781
ფილმების შეძენიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	214,224	123,634
ძირითადი საშუალებების შეძენიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	21,950	
მიღებული ავანსები		86,435
საოპერაციო იჯარის ვალდებულებები	58,224	58,515
დაქირავებით მომუშავეთა ანაზღაურების ვალდებულებები	32,747	37,617
	61,082	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,523,489	562,525

15. შემოწირულობა

კომპანიამ 2019 წელს Grenock Capital Corporation-ისგან შემოწირულობის სახით მიიღო 4,850,000 ლარი, ხოლო 2020 წლის განმავლობაში 2,165,000 ლარი.

16. დაქირავებით მომუშავე პირთა ანაზღაურების ხარჯები

	2020	2019
ხელფასი და სხვა გასამრჯელოები	14,125,443	2,486,031
საპენსიო შენატაბი	255,949	46,515
პრემიები	70,298	5,598
სულ დაქირავებით მომუშავე პირთა გასამრჯელოების ხარჯები	14,451,690	2,538,144

17. ადგილობრივი ტელესერიალების ხარჯი

ადგილობრივი ტელესერიალის ხარჯი წარმოადგენს ჩემი ცოლის დაქალების სერიალის ღირებულებას. 2019 წლის მდგომარეობით ადგილობრივი ტელესერიალის ხარჯი შეადგენს 996,610 ლარს, ხოლო 2020 წელს მას დაემატა ტელესერიალი „თესვა“ და ადგილობრივი ტელესერიალების ხარჯმა შესაბამისად შეადგინა 1,829,373 ლარი.

18. კვლევის ხარჯი

კვლევის ხარჯი წარმოადგენს წინასაარჩევნო საზოგადოებრივი აზრის კვლევას, რომელსაც ახორციელებს კომპანია Edison Research-ი და IPSOS SA. კვლევის ხარჯი 2019 წლის მდგომარეობით შეადგენს 422,640 ლარს, ხოლო 2020 წლის მდგომარეობით შეადგინა 1,922,611 ლარი.

19. იჯარის ხარჯი

	2020	2019
ოფისის იჯარა	937,020	156,720
სხვა იჯარა	198,627	185,369
სულ იჯარის ხარჯი	1,135,647	342,090

სხვა იჯარა არის არასაოფისე ფართის და სხვადასხვა სატელეკომუნიკაციო ტექნიკის იჯარა.

20. შემოსავალი პროდუქციის და მომსახურების რეალიზაციიდან

	2020	2019
სარეკლამო შემოსავალი	1,985,486	359,610
სხვა შემოსავლები	545,929	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	98,624	-
სულ იჯარის ხარჯი	2,630,039	359,610

21. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

სამართალწარმოება

საკუთარ შეფასებაზე და პროფესიონალურ რჩევაზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით შესაბამისად ფინანსურ უწყისებში რეზერვის აღიარება და შენიშვნების გამოქვეყნება არ მიიჩნია მართებულად.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება (2016 წლის (არაუადრეობილი) 31 დეკემბრის მდგომარეობით ასევე არსებობს შესაბამისი რეზერვი).

22. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის დონეზე მართვით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

შპს „ფორმულა“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2020 წლის 31 დეკემბერი

2020	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
კაპიტალური დანახარჯებისთვის გადახდილი ავანსები	847,740	-	-	847,740
წინასწარ გადახდილი და ანაზღაურებადი გადასახადები	-	-	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,800,006	-	-	1,800,006
ფული და ფულის ექვივალენტები	253,686	-	-	253,686
სულ ფინანსური აქტივები	2,901,433	-	-	2,901,433
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,523,489	-	-	1,523,489
ნასესხები სახსრები	-	50,446,814	-	50,446,814
საგადასახადო ვალდებულება	72,403	-	-	72,403
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,595,892	50,446,814	-	52,042,706
წმინდა პოზიცია	1,305,541	(50,446,814)	-	(49,141,274)
2019	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
კაპიტალური დანახარჯებისთვის გადახდილი ავანსები	1,915,046	-	-	1,915,046
წინასწარ გადახდილი და ანაზღაურებადი გადასახადები	563,342	-	-	563,342
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,574,095	-	-	1,574,095
ფული და ფულის ექვივალენტები	1,115,063	-	-	1,115,063
სულ ფინანსური აქტივები	5,167,546	-	-	5,167,546
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	562,525	-	-	562,525
ნასესხები სახსრები	-	13,038,173	-	13,038,173
საგადასახადო ვალდებულება	-	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	562,525	13,038,173	-	13,600,697
წმინდა პოზიცია	4,605,021	(13,038,173)	-	(8,433,152)

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში სადაც ის ოპერირებს.

23. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელის მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

	31-დეკ-20		31-დეკ-19	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
კაპიტალური დანახარჯებისთვის გადახდილი ავანსები	847,740	847,740	1,915,046	1,715,046
წინასწარ გადახდილი და ანაზღაურებადი გადასახადები	-	-	563,342	563,342
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,800,006	1,800,006	1,574,095	1,574,095
ფული და ფულის ეკვივალენტები	253,686	253,686	1,115,063	1,115,063
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,523,489	1,523,489	562,525	562,525
ნასესხები სახსრები	50,446,814	50,446,814	13,038,173	13,038,173
საგადასახადო ვალდებულება	72,403	72,403	-	-

24. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24-ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

- მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი ნაშთები:

	2020
შპს „ფორმულა პროექტო ფროდაქშენ“	1,496,802
შპს „ინტერმედია“	214,338
შპს „დროება მედია ჯგუფი“	202,320

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის დაკავშირებულ მხარეებთან გავემული სახელფასო ხარჯები:

	2020	2019
მენეჯმენტის ანაზღაურება	263,330	58,778

25. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას დაფუძნებიდან გააჩნია უარყოფითი გაუნაწილებელი მოგება, ანუ არის ზარალიანი, გათვალისწინებით იმისა, რომ კომპანია დაარსებულია წელიწად ნახევრის წინ, ფუნქციონარობადობის უზრუნველსაყოფად კომპანიის მფლობელები მზად არიან უზრუნველყონ საოპერაციო საქმიანობის გაგრძელებისთვის აუცილებელი სახსრები.

მენეჯმენტს მიაჩნია რომ კომპანია გააგრძელებს თავის საქმიანობას მომავალშიც.

26. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 29 აპრილს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე გარდა ქვემოთ მოცემული საკითხებისა, მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა. კომპანიის საქმიანობა არ შეჩერებულა Covid 19-ის გამო დაწესებული შეზღუდვებით, მენეჯმენტმა მიმოიხილა ეკონომიკაზე გლობალური პანდემიის ნეგატიური გავლენის ეფექტი, განაახლა საპროგნოზო მონაცემები და საქმიანობის უწყვეტობაზე მსჯელობისას გაითვალისწინა მისი ეფექტი მოკლე და საშუალო ვადიან პერსპექტივაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.

ხელმოწერი პირები:

დირექტორი

